საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი-კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი : 28.01.2019

საჩივრის რეგისტრაციის №010/19

საჩივარი შეტანილია : ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ / სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. ჯ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 28 იანვარს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მ. კ.-ის განმარტებით, 2018 წლის მაისის თვეში დაიწყო გამოძიება მისი მეუღლის მარადი ხეჩიკაშვილის მიერ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, ბრალდებულის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ს. ჯ., რომელიც მ. კ.-ს ამცირებდა, აგინებდა, ემუქრებოდა დახრჩობით, პრობლემების შექმნით და ამ დრომდე აგრძლებს მის დისკრედიტაციას, ასევე მისი არასრულწლოვანი შვილების დამცირებას. საჩივრის ავტორის განმარტებით ს. ჯ.-ის მიერ განხორციელებული ქმედებებისგან თავის დაცვის მიზნით დასახმარებლად მიმართა ორგანიზაცია „ს.-ს“.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ს. ჯ. მას მოუწოდებდა მისი ქმრის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლის საქმეზე ცრუ ჩვენების მიცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა პრობლემების შექმნით. ადვოკატმა ს. ჯ.-მ სისხლის სამართლის საქმეზე ჩანიშნულ პროცესამდე მ. კ.-ს გადასცა საჩუქრები, რათა მას სასამართლო პროცესზე ჩვენება არ მიეცა. ამასთანავე, საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატმა მას დააბრალა ქურდობა, კერძოდ მისი ქმრის ოჯახიდან ნივთების წაღება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მიერ ჩვენების მისაცემად განხორციელებული ზემოქმედების შესახებ განაცხადა სასამართლო განხილვის სხომაზე გორის რაიონულ სასამართლოში და დაწყებულია გამოძიება მოწმეებზე ზემოქმედების მუხლით.

2. ადვოკატის პოზიცია :

2.1 ადვოკატმა ს. ჯ.-მ 2019 წლის 20 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, ხოლო 2019 წლის 01 მაისს მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

2.2 ადვოკატი არ ეთანხმება საჩივარში მითითებულ არც ერთ გარემოებას და განმარტავს, რომ არც მას და არც მის მეუღლეს, ი. ა.-ს უშუალოდ მისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის, კერძოდ მისი დედისთვის - ვენერა აბრამიძისთვის არანაირი საჩუქარი არ შეუთავაზებია ჩვენების შეცვლის სანაცვლოდ.

2.3 ადვოკატის განმარტებით მ. კ. არის მისი ნათესავი და ის გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ მის წინააღმდეგ იცავდა მისი ქმრის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატმა ასევე აღნიშნა, რომ ის და მისი მეუღლე საჩივრის ავტორს, მის სამ შვილს და დედას 2018 წლის მაისის თვიდან 2018 წლის 16 სექტემბრამდე ეხმარებოდნენ შვილების მოვლა-პატრონობაში და მათ უზრუნველყოფდნენ საკვებითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით. ხოლო, 2018 წლის 16 სექტემბრის შემდეგ, არც მას და არც მის რომელიმე ოჯახის წევრს არ უნახავს მ. კ. და მის შვილები. ადვოკატის განმარტებით, მას არასოდეს მიუყენებია შეურაცხყოფა მ. კ.-ის არასრულწლოვანი ბავშვებისთვის.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ის მომხრე იყო მ. კ.-ს შეენარჩუნებინა ოჯახი, თუმცა თავად მას სურდა ოჯახის დანგრევა, რაშიც დაეხმარა ადვოკატი ე. რ., რომელსაც ს. ჯ.-ის მიმართ ასევე საჩივრით ჰქონდა მიმართული ეთიკის კომისიაში.

2.5 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის მიერ საჩივარში აღნიშნული ცრუ ინფორმაციის გამო მზად არის მიმართოს შესაბამის უწყებებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება :

3.1 ადვოკატი ს. ჯ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №, სპეციალიზაცია- საერთო.

3.2 მ. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 28 იანვარი.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018-2019 წლებში, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა -5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ს. ჯ., მ. კ.-ის ყოფილი ქმრის ინტერესების დაცვის დროს ახორციელებდა ზემოქმედებას საჩივრის ავტორზე, რათა მას ცრუ ჩვენება მიეცა მისი ყოფილი ქმრის სასარგებლოდ. ამასთანავე, ადვოკატი ს. ჯ. მას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა, აგინებდა, ემუქრებოდა დახრჩობითა და პრობლემების შექმნით. მ. კ.-ის განმარტებით ს. ჯ. ამ დრომდე აგრძელებს მის დისკრედიტაციას და მისი შვილების დამცირებას.

5.2 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად: „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე.“

5.3 აღსანიშნავია, რომ ეთიკის კომისიის მეორე დისციპლინური კოლეგიამ განიხილა ადვოკატ ე. რ.-ის საჩივარი ადვოკატ ს. ჯ.-ის წინააღმდეგ (საქმე N098/18). ეთიკის კომისიამ 2019 წლის 30 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება და დისციპლინურ საქმეზე ადვოკატ ს. ჯ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება. აღნიშნულ საქმეზე, საპროცესო ეტაპზე მოწმის სახით გამოიკითხა მ. კ., რომელმაც მიუთითა ის გარემოებები, რაც ასევე აღნიშნულია განსახილველ დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილ საჩივარში. კერძოდ, მ. კ.-მ მიუთითა ს. ჯ.-ის მხრიდან ზეწოლის, შეურაცხყოფებისა და მუქარის ფაქტებზე, ასევე ცრუ ჩვენების მიცემის მიზნით ადვოკტისა და ადვოკატის ცოლის მხრიდან საჩუქრების ჩუქების თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ, 2018 წლის 01 ნოემბერს მიღებულ დისციპლინური დევნის აღძვრის გადაწყვეტილებაში, მიუთითა მოწმე მ. კ.-ის ჩვენებაზე და აღნიშნა, რომ მოწმის პასუხები კოლეგიის მიერ დასმულ კითხვებზე წინააღმდეგობრივი და ხანდახან, თავად საჩივრის ავტორის, ე. რ.-ის მიერ მითითებულ ფაქტებთან შეუსაბამო იყო. შესაბამისად, კომისიამ დაბალი მტკიცებულებითი ძალა მიანიჭა მ. კ.-ისა და მისი დედის ვ. ა.-ის ჩვენებებს მათი წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე და გადაწყვეტილების მიღების დროს მათი ჩვენებები არ გაიზიარა.

5.4 საპროცესო კოლეგია ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიუთითებს, რომ ეთიკის კომისიას მ. კ.-ის მიერ წარმოდგენილ საჩივარში მითითებული პრეტენზიები შეფასებული აქვს 2018 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, ამ პრეტენზიათა ფარგლებში არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება და დებულების თანახმად, იგივე საკითხის თავიდან განხილვა, ვერ მოხდება, თუ არ არის წარმოდგენილი ახალი

მტკიცებულება, რომლის გათვალისწინებით გამართლებულია განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

5.5 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი წერილობითი საჩივრის გარდა სხვა დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია. ამასთანავე, მ. კ. საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად არ გამოცხადდა საპროცესო კოლეგიის მიერ ჩანიშნულ სხდომაზე.

5.6 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივარი უნდა იყოს მომზადებული, დასაბუთებული და მტკიცებულებებით გამყარებული. ეთიკის კომისიის რესურსის არაგონივრულ ხარჯვას წარმოადგენს ადვოკატის მიმართ ერთხელ უკვე განხილული პრეტენზიებზე განმეორებითი საჩივრით მიმართვა, რაც ეთიკის კომისიის მიერ უკვე შეფასებულია. საჩივრის შემოტანამდე მხარე უნდა ჩამოყალიბდეს რა გარემოებების გამოკვლევა სურს ეთიკის კომისიაში და განმეორებით პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში მიუთითოს ახალ გარემოებებზე და შესაბამის მტკიცებულებებზე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს. შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინური საქმეზეე №010/19 ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ სიითი/ № შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩვრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/